

4
ბ-325

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ხაჩიაშვილი მაია

ლექსი და პოეზია

ვერბალური და არსობრივი სტრუქტურა,
ტექსტუალური პარამეტრები

სპეციალობა: 10.02.07 - გიპოლოგიური და შედარებითი
ენათმეცნიერება

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი 2001

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მაია ნათაძე

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. ლებანიძე (10.02.04)

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზ. კიკნაძე

დისერტაციის დაცვა შედგება 2001 წლის 28 ნოემბერს „2“ საათზე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის P. 10.02.N7 საბჭოს სხდომაზე. მისამართი: 380028, ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. №1.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში. მისამართი: 380047, ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2.

ავტორეფერატი დაიცავა 2001 წლის 22 ოქტომბერს

სადისერტაციო საბჭოს


სწავლული მდივანი,

ფილოლოგიის მეცნიერებათა

დოქტორი, პროფესორი

[Handwritten signature]

/გ.ი. წიბახაშვილი/



ნაშრომის ზოგადი დახასიათება

ნაშრომის მიზანი: რადგანაც ლექსი გარკვეულწილად უნივერსალურ ფენომენს წარმოადგენს, იგულისხმება, რომ მას უნივერსალური, იმანენტური სტრუქტურა ახასიათებს, რაც აქცევს ლექსს ლექსად და რაც პოეტიკის შესწავლის საგანია. პოეტიკა კი მისი პრობლემებით ენათმეცნიერებას (*გარკვეული გამონაკლისებით*) შეგანილი აქვს თავისი კვლევის სფეროში (ე. ბენვენისტი, რ. იაკობსონი და სხვ.).

ვერბალური გამონათქვამის ლექსად მქცევი უნივერსალიების მოძიება არის ჩვენი კვლევის ერთი მიზანი. უფრო ზუსტად კი, არსებითი, უნივერსალური, იმანენტური საფუძვლის მონახვა იმ უნივერსალიებისა, რომელთა კონკრეტული გამოვლინებები ფართოდ არის ცნობილი პოეტიკისათვის.

მაგრამ ყველა ლექსი არ არის პოეზია. ამ განსხვავების არსებობის ფაქტი ანუ ორი მოვლენის არსებობა ლექსი - არაპოეტური ქმნილება და ლექსი - პოეტური ქმნილება - აგრეთვე მარად ქველი და მარად ახალი უნივერსალური მოვლენაა. ჩვენი შრომის მეორე მიზანია ამ ნახსენები განსხვავების უნივერსალური, იმანენტური არსის ძიება.

ჩვენი კვლევის მესამე ეტაპის მიზანია, წარმოვაჩინოთ ლექსი, როგორც ტექსტი, როგორც ტექსტის სპეციფიური სახესხვაობა. უფრო კონკრეტულად, გავარკვიოთ, რაში მდგომარეობს ეს სპეციფიკა ტექსტის ლინგვისტიკის თვალსაზრისით ორივე შემთხვევაში ნახსენებ ოპოზიციებში: ა) ლექსი - პროზა, ბ) ლექსი-არამხაგვრული, ლექსი-მხაგვრული ანუ ლექსი - პოეზია, ლექსი - არაპოეზია. ჩვენი კვლევის პირველი ორი ეტაპი ამზადებს მესამე ეტაპის განხორციელების შესაძლებლობას. ჩვენი კვლევა მიმდინარეობს გიპოლოგიურ პლანში სხვადასხვაენოვანი ლექსის მასალაზე.

ჩვენი ანალიზის ჩამოთვლილი ასპექტები მარადქველი და მარად ახალი, ჯერ-ჯერობით „უჭკნობი“ პრობლემის (რა არის ლექსი?) თანამედროვე კუთხით დანახვის ცდა, კერძოდ, დღევანდელი პოეტიკის ხედვის კუთხით, მის ცნებით აპარატზე დაყრდნობით და მეორეს მხრივ, დღევანდელი ლინგვისტიკის, კერძოდ, ტექსტის

2181-